13.1 ხელშეკრულებითა და დამტკიცებული ვადების დარღვევისათვის მხარეები ჯარიმის სახით გადაიხდიან სახელშეკრულებო ღირებულების 0,03 პროცენტს, ყოველ გადაცილებულ დღეზე.

13.2. საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან -ერთი თვის ვადაში.

13.3. საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

14.1. ხელშემკვრელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

14.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

## 15. სხვა პირობები

15.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

15.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

15.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

15.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება. „ART+".

15.5 „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული სამუშაოები ან მისი ეტაპი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ, მხარეთა შორის დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

15.6 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.

15.7. ხელშეკრულება ძალაშია მისი მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე

15.8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად და ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო ერთი ეგზემპლარი –„მიმწოდებელთან".

## 16. მხარეთა რეკვიზიტები:

| | |
|---|---|
| „შემსყიდველი"<br>შუახევის მუნიციპალიტეტი<br>სოფ. ტბეთის საჯარო სკოლა<br>საიდ.კოდი 247 861 513<br>დირექტორი:<br>/ბესიკ დავითაძე/ | „მიმწოდებელი":<br>შპს „ E-2010"<br>ს/კ 448 381 992<br>სს „საქართველოს ბანკი"<br>BAGAGE 22<br>GE35BG0000000890543600<br>ხელმძღვანელი: კახაბერი<br>დირექტორი:<br>/ე.საკანდელიძე/ |